ლინგვოსტილისტური ასპექტები გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში „ბათარეკა ჭინჭარაული"

წიგნაძე შორენა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.15

აბსტრაქტი: *გურამ რჩეულიშვილი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფიგურაა თანამედროვე ქართული პროზის ისტორიაში — ავტორი, რომლის ტექსტებიც გამოირჩევა ემოციურობით, ხატოვნებითა და ინდივიდუალური ნარატიული სტილით. მოთხრობა „ბათარეკა ჭინჭარაული" მის შემოქმედებაში გამორჩეულია არა მხოლოდ შინაარსობრივი სიღრმითა და პერსონაჟის არაორდინარული ხასიათით, არამედ ენობრივი თავისებურებებით, რომლებიც ქმნიან განსაკუთრებულ, რჩეულიშვილისეულ დინამიკურ და პოეტურ ატმოსფეროს.*

სტატიაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ავტორის ლინგვისტურ და ენობრივ-სტილისტიკურ ასპექტებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ტექსტის უნიკალურობასა მხატვრულ ღირებულებას.

ავტორის ენა ექსპრესიულია და მიზნად ისახავს არა მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემას, არამედ მკითხველზე ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენას.

*ტექსტში ჭარბობს **ა**რქაული ლექსიკა, რაც ხევსურული სამყაროს სიძველესა და ტრადიციულობას უსვამს ხაზს: „ჭიუხები", „ხატობები", „ჭირისუფალნი", „ჯვარპერანგიანი ვაჟები". ხშირად გვხვდება ეთნოგრაფიული ტერმინები „თემი", „სისხლის გამოსყიდვა", „ცხვარ-ძროხის გადახდა", რომლებიც ტექსტს დოკუმენტურ სიზუსტეს ანიჭებს.*

ამავე დროს, ავტორი იყენებს შეფასებით და ემოციურად დატვირთულ სიტყვებს: „საზარელი", „დამამცირებელი", „ულოგიკო ვნებები", რაც ტექსტის სუბიექტურ, შეფასებით ხასიათს აძლიერებს.

მოთხრობა მდიდარია მარტივი და რთული წინადადებებით, რაც აზრის თანდათანობით განვითარებას უწყობს ხელს.

ტექსტი გაჯერებულია მხატვრულ-გამომსახველი საშუალებებით, როგორიცაა მეტაფორები: „ვაკის სამყაროდან მოწყვეტილი ცხოვრობდა ეს ხალხი" — იზოლაციისა და სულიერი გამიჯვნის გამოხატვა. ეპითეტები: „ციცაბო ფერდობები", „ბასრი ჭიუხები", „სქელტანიანი კანონთა წიგნი" — ვიზუალური და ემოციური ეფექტის გასაძლიერებლად. ანტითეზით: პოეზია — პროზა, რაც სულიერი და ყოფითი სამყაროს დაპირისპირებას გამოხატავს

განსაკუთრებით საყურადღებოა კანონიკური და პოეტური ლექსიკის შერწყმა: იურისპრუდენციული ტერმინები- „კოდექსი", „კანონი", „იურისპრუდენციული"- ეჯახება პოეტურ მეტყველებას, რაც ხევსურული ცხოვრების ტრაგიკულ პარადოქსს ასახავს — მკაცრი წესრიგი და უკონტროლო ვნება.

მაღალმხატვრული, ემოციურად დატვირთული ტექსტი, არქაული და ეთნოგრაფიული ლექსიკა, რთული სინტაქსი და მდიდარი ტროპები ერთობლივად ქმნის ხევსურეთის მკაცრ, ტრაგიკულ და პოეტურ სამყაროს შთამბეჭდავ სურათს.

საკვანძო სიტყვები: *გურამ რჩეულიშვილი, ხევსურეთი, ტრადიცია, ტროპული მეტყველება, ლინგვისტური ასპექტები.*

გურამ რჩეულიშვილი მოთხრობაში „ბათარეკა ჭინჭარაული“, ქმნის მდიდარ, მრავალფეროვან ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელიც მკითხველს აფიქრებს არა მხოლოდ სიუჟეტზე, არამედ ენის სიმდიდრეზე, ძალასა და შესაძლებლობაზე.

,,ბათარეკა ჭინჭარაული”, ისევე როგორც მწერლის არაერთი მოთხრობა, წინასწარმეტყველებითაა დაწერილი. როგორც თვითონ ამბობს: წინასწარმეტყველებაში უყვარს კაცური ტანჯვა და არა წინასწარჭვრეტა. მოთხრობაში ჩართული ლეგენდა ალეგორიულია, მსგავსია მთავარი სიუჟეტისა და წინასწარ განწირულობის ეფექტს ქმნის. რჩეულიშვილის გმირები უმეტეს შემთხვევაში მასავით ადრე და ლამაზად კვდებიან. სწორედ ამის გამო ისინი მკითხველის გულში მარადიულად ცოცხლობენ.

მწერალი აქტიურად იყენებს ქართული კულტურული და კოლექტიური მეხსიერების საცავს და ქმნის მრავალშრიან მხატვრულ სახეებს. მხატვრული სისტემის ეს ელემენტები განსაზღვრავენ სწორედ გურამ რჩეულიშვილის თხრობის ინდივიდუალურობას.

არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ გურამ რჩეულიშვილისა და მისი თაობის წარმომადგენლებისათვის გახდა მთა განსაკუთრებული ლტოლვისა და ინტერესის საგანი. მთა, როგორც ნაკრძალი ღირსების, სისუფთავის, უბიწობის. იქ არსებულ ტკივილზე ყურადღების გამახვილება სწორედ მთის დიალექტით შეიძლებოდა. ეს არის მწერლის ერთგვარი მცდელობა, შეჩერდეს ხევსურეთიდან მოსახლეობის მიგრაცია. მთიდან აშლას/აყრას, ტრადიციების მოსპობას, კერის მოშლას, გაჩანაგებას მწერალი დიალექტის ხმოვანებითაც ეწინააღმდეგება.

მოთხრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხევსურულ სამართალსა და ადათებს. ავტორი აღწერს დაუწერელ, მაგრამ მკაცრად მოქმედ კანონებს, რომლებიც სისხლის აღებასა და გამოსყიდვას არეგულირებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა უსისხლო გზით კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა (ცხვარ-ძროხით გამოსყიდვა), ხევსურული ღირსება ამას ხშირად სირცხვილად მიიჩნევდა. აქ ნათლად ჩანს ტრაგიკული წინააღმდეგობა კანონსა და მორალს შორის: კანონები თითქოს ადამიანურია, მაგრამ ხასიათი და ღირსების კოდექსი მათ აღსრულებას შეუძლებელს ხდის.

განსაკუთრებით დრამატულია ხევსურული კაცის სახე — ,,ჯვარპერანგიანი ვაჟი“, რომელიც სირცხვილს არ ეგუება და ხშირად შურისძიებას გვარების განადგურებამდე მიჰყავს. ეს აჩვენებს, რამდენად სასტიკი და შეუვალია ღირსების ცნება ამ საზოგადოებაში.

მონაკვეთის ერთ-ერთი უმთავრესი იდეა არის პოეზიის ბატონობა პროზაზე. ხევსურეთში ცხოვრება იმდენად დრამატული და ემოციურია, რომ პოეტურ ფორმას ბუნებრივად შობს. ხალხური ფოლკლორი და ხევსურული ლექსი კლასიკურ სიმაღლეს აღწევს, რადგან ის ამ ხალხის ტკივილს, ვნებასა და ტრაგედიას გამოხატავს. ავტორი ასკვნის, რომ ყოველი ხევსური პოეტია, ხოლო საუკეთესო პოეტი ის არის, ვინც ყველაზე მეტად იტანჯება — ტანჯვა აქ შემოქმედების წყაროდ არის წარმოდგენილი.

რჩეულიშვილისათვის უმთავრესი ღირებულება თავისუფლებაა. ამიტომაა, რომ თავს იკლავს მზია ჭინჭარაული, რომელსაც უკრძალავენ ოცნებას, რეალურიდან სხვა სამყაროში გადასვლას, ,,გზიდან ცდომას”, რაც სხვებისაგან განსხვავებულობაში ვლინდება. მამა-შვილს შორის შეჯახება ტრაგედიით სრულდება...

მოთხრობის თითოეული ფრაგმენტი ორგანულად ჯდება ტექსტის საერთო ქარგაში და ეხმარება მკითხველს პერსონაჟების ხასიათისა თუ ბუნების უკეთ

შეცნობაში. კაცს შეურაცხყოფს ოთხი კედელი - ,,ზამთრის დღის უმოქმედობისაგან იღლებიან კაცები, სახლის საქმე მათ არ ეკითხვით". უქმად ყოფნა ბათარეკასათვის დამთრგუნველია, სწორედ ამიტომ არის ის ასეთი აღრენილი, მძიმე ხასიათის, გაბურძგნული, ზამთრის ლაბირინთში გახვეული. მართალია მზიაც უქმად ზის კოშკში, მაგრამ ის არ არის ჩაკეტილი, ის ლურჯი ფრინველივით დაფრინავს, თავისუფალია, შეუძლია ოცნება და ამით კოშკში არსებული სივრციდან, მთიდან, ზამთრიდან გასვლა. მზია ამით ჯობნის მამას, რაც კაცში გაღიზიანებას იწვევს. ,,ზის ქურქში გამოხვეული ეს უცნაური არისტოკრატი ქალი, რომელიც ბუნებამ აქ, შატილში გააჩინა და ელის..." ბათარეკაც ელის ზამთრის გასვლას, მაგრამ მისი მოლოდინი სულ სხვაა, მას სისხლის აღების წყურვილი აქვს...

ამ უმძაფრესი ტკივილით აღსავსე პროცესის გადმოცემა, სწორედ მთის დიალექტით შეიძლებოდა. ესაა ფორმისა და შინაარსის ზუსტი თანხვედრა. მწერალი მხატვრული ეფექტის შესაქმნელად იყენებს დიალექტურ ლექსიკასა და მდიდარ ქართულ ფოლკლორს. დიალოგი მოკლე და მკვეთრია, შეიგრძნობა ხევსურულ ინტონაციას: ,,ქალაუ"; ,,ათასი ჭირი, ქალოო!!!"

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა, ,,ბათარეკა ჭინჭარაული", თემატიკასთან ერთად ყურადღებას იპყრობს ლინგვოსტილისტური თვალსაზრისით. პერსონაჟების დასახასიათებლად, სიუჟეტების გასავითარებლად, მკითხველზე შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ავტორი ზუსტად და მიზანმიმართულად არჩევს ლექსიკას. მრავლად გვხვდება მხატვრული ხერხები, რომლებიც ტექსტს სიღრმესა და მრავალფეროვნებას სძენს.

ერთ-ერთი ლინგვისტური მახასიათებელი ეს არის ხალხური მეტყველების ინტეგრირება ტექსტში, რაც ბუნებრივად ესადაგება ბაღათურ ჭინჭარაულის ტიპაჟსა და მთის სოფლის გარემოს. დიალექტური მეტყველება მოთხრობაში სინამდვილის ასახვას, ავთენტურობას აძლიერებს და პერსონაჟების ფსიქოლოგიურ პორტრეტსაც უფრო უკეთ ასახავს.

გურამ რჩეულიშვილი თხრობისას მარტივთან ერთად ხშირად იყენებს პარატაქსულ კონსტრუქციას, რომელიც ქმნის შეგრძნებას ,,თითქოს ტექსტი თვითონაც მთის ფერდობივით ციცაბო და დაუსრულებელია". მწერალი იყენებს ნახევრად თქმულ ფრაზებს, პერსონაჟები უმეტესად არ გამოხატავენ აშკარა ემოციებს, თუმცა სწორედ ეს თავშეკავებულობა, სიჩუმე მიგვანიშნებს მოქმედ პირთა შინაგან ტკივილსა თუ სიხარულზე: **გმინავს ბათარეკა, მოუშვა წვერი და ჩაებურძგნა ხასიათი**.

მწერლისეული მსოფლხედვა ვლინდება მეტაფორებში, შედარებებში, ფერთა გამაში, რომლითაც ამეტყველებულია მისეული სამყარო: **მთელი ღამე სდია გონებაგაშავებულმა და დილით დაეწია; ...გულში ჯავრს იდებენ და უცებ, თოვლის ჩამოყრისთანავე კუტებივით სხდებიან.** პროზაულ ლექსიკაში ყურადღებას იპყრობს სიტყვათა სემანტიკური ველების გაფართოება, რაც მწერლის სტილის თვალსაჩინო თავისებურებას წარმოადგენს: **დიდი ოთხკუთხედი კიდობანი - ვაჭრულად, მზაკვრული იერით ქონებას პირდებოდა გოგოს და მით იბირებს.**

ასახავს რა გარე სამყაროს, ფიზიკური ტკივილისა და ესთეტიკური განცდების შესაგრძნობად, მწერალი საკმაოდ შთამბეჭდავად იყენებს შედარებას, რომლითაც ვლინდება მისი კულტურულ-ნაციონალური და ინდივიდუალური თავისებურება: **ბუნებით ნაზი, ავაზაკივით უჟმური იყო ხასიათით და ქცევით ბათარეკა. უდედო ნუკრივით ფრთხილი, მშვენიერი და უსუსურია მისი სიყვარული. ...მკლავი გაუშეშდა, აეყარა ძარღვები წყრთასა და წყრთას შუა, არფის სიმებივით გაება და**

დაიჭიმა. ბოროტად აადევნა თვალი, ისევე როგორც საქონლის პარვისას ამხანაგის უმოქმედობის დროს გაბრაზებულს სჩვეოდა.

გურამ რჩეულიშვილი მოთხრობაში მონოტონურობის, უმოქმედობის, ჩაკეტილობის დროის აღსაწერად, რიტმისა და ფსიქოლოგიური ეფექტის გასაძლიერებლად, მიმართავს სიტყვათა გამეორებას: **,,დადის, დადის" , ,,ზის...ზის.." ,,თეთრია ყველაფერი.. თეთრია კოშკის სახურავებიც...**"

მოთხრობაში არსებული მეტაფორები ტექსტის ერთგვარ საყრდენს წარმოადგენს. აქ აბსტრაქტული ცნებები ადამიანურ ურთიერთობად გარდაქმნილა, პოეზია ნიშნავს ვნებას, ინსტიქტს: **,,პოეზია ბატონობს პროზაზე..."** აქ ცხოვრება აღქმულია მუდმივ ომად არა როგორც მხოლოდ სოციალური, არამედ - შინაგანი: **,,მარტოკაცის ბრძოლა ბუნებასთან და საკუთარ ხასიათ-ვნებასთან..." ,,ხინჯად შეეპარა ეს პირობა მონადირეს..."** - ფიქრი, როგორც სხეულში შემძვრალი ავადმყოფობა. წარმოდგენილი მეტაფორები ტექსტს ფილოსოფიურ სიღრმეს ანიჭებს და ტრაგიკულ განზომილებაში გადაყავს.

გურამ რჩეულიშვილი ბუნებასა და საგნებს ცოცხალ არსებებად აქცევს: **,,სიპისაგან დატეხილი კედელი შეყვარებულია", ,,უხმარი ხმლები იბრძვიან შეუჩერებლივ", ,,კიბის საფეხურს უფრო უყვარს..."** გაპიროვნებით მკითხველს აჩვენებს სამყაროს ანიმისტურ აღქმას, სადაც ადამიანი და გარემო განცალკევებული არ არიან.

ეპითეტები ქმნიან მკაცრი სამყაროსა და ნაზი სულიერების კონტრასტს: **,,ბასრი ჭიუხები"; ,,დაუნდობელი ციცაბო ფერდობები"; ,,შავი, ავი მიუკარებლობით მდგარი კედლები"; ,,გაბრწყინებული თვალები..."**

საინტერესოა მოთხრობაში არსებული სიმბოლოები, რომლებიც ტექსტს სიღრმესა და ექსპრესიულობას ანიჭებს: **თოვლი** - სისპეტაკის, დუმილის, დროის გაჩერების; **კოშკი** - ტრადიციის, სიმტკიცის, დაცულობისა და გამომწყვდეულობის; **ჯიხვი** - ვნების, სიცოცხლის ინსტიქტის, აკრძალული სურვილის.

თხრობის ლაკონურობა, პოეტური რიტმი, გამომსახველობითი ხერხები ნათლად გვიჩვენებს გურამ რჩეულიშვილის ინდივიდუალურ მხატვრულ სტილს. მოთხრობაში ხევსურეთის ყოფის, ადათების, ისტორიული კონტექსტების აღწერა ინდივიდუალურ განცდებს, პოეტურ ხედვასა და შინაგან ვნებებს ერწყმის.

საბოლოოდ, მოთხრობა ხევსურეთს წარმოაჩენს როგორც ტრაგიკული სიდიადით სავსე სამყაროს, სადაც მკაცრი ბუნება, ულმობელი ადათები და მაღალი პოეტური სული ერთ მთლიანობად იკვრება. მაღალმხატვრული, ემოციურად დატვირთული ტექსტი, არქაული და ეთნოგრაფიული ლექსიკა, რთული სინტაქსი და მდიდარი ტროპები ერთობლივად ქმნის ხევსურეთის მკაცრ, ტრაგიკულ და პოეტურ სამყაროს შთამბეჭდავ სურათს. ტექსტის ენობრივი ფორმა სრულად ემსახურება მის შინაარსობრივ იდეას — აჩვენოს ხალხი, რომლის ყოფაც პოეზიად იქცევა.

ლიტერატურა:

1. გვენცაძე, ალ. (1974), ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, გამომც. ,,თბილისი".
2. კვაჭაძე, ლ. (2010). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: გამომცემლობა „რუბიკონი".
3. კუხალაშვილი მ., ლომთაძე თ., მიქაძე მ., რუსაძე ი., ქაცარავა მ., ფხაკაძე ნ., (2007). პრაქტიკული სტიკისტიკა. გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი".
4. სანიკიძე, თ., (1994), ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, გამომც.თესაუ.

საანალიზო წყარო:

1. რჩეულიშვილი გურამ , ,,ბათარეკა ჭინჭარაული - https://aura4.itweb.ge/311-proza/8503-guram-rcheulishvili--batereka-tchintcharauli.html

Linguostylistic Aspects of a Guram Rcheulishvili's story
"Batareka Chincharauli"

Tsignadze Shorena
Iakob Gogebashvili State University,Telavi

Abstract

Guram Rcheulishvili is one of the most prominent figures in the history of modern Georgian prose—an author whose works are distinguished by emotional intensity, vivid imagery, and an individual narrative style. The short story *"Bagthareka Chincharauli"* occupies a special place in his literary legacy not only because of its thematic depth and the unconventional nature of its protagonist, but also due to its linguistic features, which create a distinctive, dynamic, and poetic atmosphere characteristic of Rcheulishvili's writing.

This article primarily focuses on the author's linguistic and stylistic aspects that contribute to the unique artistic value of the text. The author's language is highly expressive and aims not merely to convey information, but to produce a strong emotional impact on the reader.

The text is rich in archaic vocabulary, which emphasizes the antiquity and traditional nature of the Khevsurian world, such as: *"ჭიუხვები" [chiyukhebi] (rocky peaks), "ხატობები [khatobebi] (ritual festivals), "ჭირისუფლები" [chirispulebi] (mourners), "ჯვარპერანგიანი ვაჟები" [jvarperangiani vazhebi] (cross-clad warriors).* Ethnographic terms are also frequent, including *"თემი" [temi] (community),* „სისხლის გამოსყიდვა" *[siskhlis gamoskidva] (blood redemption/blood ransom),* and „ცხვარ-ძროხის გადახდა" [*tskhvar-zrokhis gadaxda] (payment in sheep and cattle)* lending the narrative documentary precision.

At the same time, the author employs evaluative and emotionally charged words such as „საზარელი" *[sazareli] (terrible)*, „დამამცირებელი" *[damamtsirebeli] (humilating)*, „ულოგიკო ვნებები" *[ulogiko vnebebi] (illogical passions)* which intensify the subjective and judgmental tone of the text.

The short story is composed of both simple and complex sentences, allowing ideas to develop gradually and in layered form.

The text is saturated with figurative and expressive devices, including metaphors—for example, *"„ვაკის სამყაროდან მოწყვეტილი ცხოვრობდა ეს ხალხი" (these people lived cut off from the world of the plains)* expressing isolation and spiritual separation. Epithets such as *„ცეცაბო ფერდობები" [tsitsabo ferdobebi](steep slopes), „ბასრი ჭიუხები" [basri tchiukhvebi](sharp cliffs)* and *„სქელტანიანი კანონთა წიგნი" [sqeltaniani kanonta wigni] (a thick-bodied book of laws)* enhance visual and emotional impact. The use of antithesis—*poetry versus prose*—expresses the opposition between the spiritual and the everyday worlds.

Particularly noteworthy is the fusion of canonical and poetic vocabulary: juridical terms *„კოდექსი" [kodeksi](code), „კანონი" [kanoni] (law), „იურისპრუდენციული" [iurisprudentsiuli] (jurisprudential*) collide with poetic expression, reflecting the tragic paradox of Khevsurian life—a rigid order alongside uncontrollable passion.

Overall, the highly artistic and emotionally charged text, with its archaic and ethnographic vocabulary, complex syntax, and rich use of tropes, collectively creates an impressive portrayal of Khevsureti's harsh, tragic, and poetic world.

Key words: *Guram Rcheulishvili, Khevsureti, tradition, figurative language, linguistic aspects.*